ბახვიჰესი

ჩვენ ვზრუნავთ ადამიანებზე, ბუნებასა და რეგიონის განვითარებაზე

ბახვი ჰესის მრჩეველთა საბჭოს წლის შემაჯამებელი შეხვედრა

ბახვი ჰესის გარემოსდაცვით და სოციალურ საკითხებზე მომუშავე მრჩეველთა საბჭო წლის შემაჯამებელ შეხვედრაზე ქ. ქუთაისში შეიკრიბა.

მრჩეველთა საბჭოს შეხვედრა ქუთაისში

გასვლით სხდომაზე, ბახვი ჰესის დირექტორმა **გიორგი აბრამიშვილმა** შეაფასა პროექტის მიმდინარეობა და ისაუბრა გამოწვევებზე რომლებიც დაძლეულია და 5-წლიანი განვითარების გზაზე მიღწევებად გარდაისახა.

„მნიშვნელოვანი იყო ბახვი ჰესის განვითარების თითოეული ეტაპი ჩვენთვის. პირველი, რითაც დღეს შემიძლია ვიამაყო, შესრულებული დაპირებაა, დაპირება რომელიც გავეცით 2021 და 2022 წლებში. ის, რომ ჩვენ ადამიანების ნდობა გავამართლეთ, ყველაზე დიდი მიღწევაა ჩვენთვის. უკან რომ ვიხედებით, ვფიქრობთ, რომ ბახვი ჰესი გარდა თანამედროვე ჰიდროელექტროსადგურისა, ერთი საინტერესო ამბავია ადამიანურ ურთიერთობებზე“, - განაცხადა გიორგი აბრამიშვილმა, ბახვი ჰესის დირექტორმა.

ბახვი ჰესის მრჩეველთა საბჭოს წევრებმა მოისმინეს ბახვი ჰესის ტექნიკური დირექტორის, არჩილ ძნელაძის პრეზენტაცია, რომელიც მშენებლობის ბოლო ფაზას აღწერდა.

ასევე, გაეცნენ ბახვი ჰესის გარემოსდაცვითი და სოციალური პროექტების აღსრულების მიმდინარეობას.

„თითოეული პროექტი ძალიან მნიშვნელოვანი იყო ჩვენთვის, რადგან პირდაპირი სარგებლის მომტანი იყო აქ მცხოვრები ადამიანებისთვის. ჩვენთვის მნიშვნელოვანი იყო ამ სიკეთის თანაბრად და სამართლიანად გადანაწილება, რაც მგონი შევძელით და კარგადაც გამოგვივიდა. როცა სოციალურ პროექტებს ახორციელებ, სარგებელი საზოგადოებამ უნდა მიიღოს და არა მხოლოდ ადამიანთა მცირე ჯგუფმა. სწორედ ამ პრინციპის გათვალისწინებით, ავირჩიეთ საგანმანათლებლო, ინფრასტრუქტურული პროექტები, ბიზნესის დახმარება, სწორედ ამიტომ მოხვდნენ ჩვენს პროექტებში ამ სოფლებში მცხოვრები შშმ პირები და მათი ოჯახები“, - აცხადებს **დავით კობერიძე,** ბახვი ჰესის გარემოს დაცვისა და სოციალური საკითხების მენეჯერი.

ბახვი ჰესის მრჩეველთა საბჭოს წევრებმა თავის მხრივ დადებითად შეაფასეს ბახვი ჰესის გუნდის მუშაობა. აღნიშნეს, რომ პროექტი შედგა და რაც მთავარია, მოსახლეობა კმაყოფილია.

2025 წლის ბოლო შეხვედრაზე ბახვი ჰესის გუნდი და მრჩეველთა საბჭოს წევრები შეთანხმდნენ, რომ საბჭო 2026 წელსაც გააგრძელებს მუშაობას.

ბახვი ჰესის სოციალური პროექტების მიმოხილვა

ბახვი ჰესის გარემოს დაცვისა და სოციალური საკითხების გუნდის მიერ 2021-2025 წლებში შესრულდა 15 სოციალური პროექტი, საიდანაც 4 ინფრასტრუქტურული, 7 საგანმანათლებლო, 2 მცირე მეწარმეების გაძლიერების და 2 პროექტი შშმ პირების და მათი მშობლების მხარდამჭერია.

ჩვენი სოციალური პროგრამის სიკეთეები გავრცელდა დაახლოებით 1000 ადამიანზე. პროექტები იმ პროგრამას შეესაბამება, რომელიც ბახვი ჰესმა 2021 წლის ბოლოს შეიმუშავა საჭიროებების კვლევაზე დაყრდნობით. კვლევა კი, პროექტის განხორციელების არეალთან ახლოს მდებარე სოფლებში ჩატარდა. კერძოდ, მთისპირის თემის სოფლებში - უკანავა, მთისპირი, ვანისქედი და ოქროსქედი, ასევე, სოფელ ჩხაკაურაში.

ბახვი ჰესის სოციალური პროექტები

პროგრამის განხორციელების არეალი:

ოზურგეთის მუნიციპალიტეტი: სოფლები მთისპირი, ოქროსქედი, ვანისქედი, უკანავა;

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი: სოფელი ჩხაკაურა და კურორტი ბახმარო.

2021 – 2026 წლები - დავაფუძნეთ გარემოსდაცვითი და სოციალურ საკითხებზე მომუშავე მრჩეველთა საბჭო. საბჭოსთან ერთად შეიქმნა სოციალური პროგრამა. პროექტების განხორციელება დაიწყო 2021 წლიდან.

საგანმანათლებლო პროგრამა

2021 – 2025 წლები - მთისპირისა და ჩხაკაურას საჯარო სკოლები - განვაახლეთ ბიბლიოთეკები და მოვაწყვეთ კომპიუტერული ლაბორატორიები. სარგებელი მიიღო ორი სკოლის 120-მ მოსწავლემ.

2021 – 2025 წლები - მთისპირის საბავშვო ბაღი - განვაახლეთ სათამაშოები, ჭურჭელი, შევიძინეთ სმარტ ტელევიზორი, ელექტრო პიანინო და გავაკეთეთ ბაღის ინტერნეტით უზრუნველყოფა. სარგებელი მიიღო მთისპირის საბავშვო ბაღის 50-მდე აღსაზრდელმა.

2022 – 2023 წლები - მთისპირისა და ჩხაკაურას სკოლები და საბავშვო ბაღი - მოვიწვიეთ განათლების ექსპერტები და ჩავატარეთ ტრენინგები პედაგოგებისთვის. პროგრამით სარგებელი მიიღო მთისპირისა და ჩხაკაურას სკოლების და ბაღის 40-მა მასწავლებელმა.

2022 – 2025 წლები - მთისპირისა და ჩხაკაურას საჯარო სკოლები - შევქმენით ტრენინგ პროგრამა უფროსკლასელებისთვის გარემოს დაცვა და განახლებადი ენერგიის საკითხებზე და ვატარებდით შეხვედრებს. ჩატარდა 69 შეხვედრა და ჯამში 155-მა მოსწავლემ მიიღო მონაწილეობა

2022 – 2025 - მთისპირისა და ჩხაკაურას საჯარო სკოლები - შევქმენით სტუდენტური გრანტის პროგრამა მათთვის ვინც ირჩევდა ეკოლოგის, ინჟინერის და ჰიდროლოგის პროფესიას. ამჟამად გვყავს 3 სტიპენდიანტი.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დახმარების პროგრამა

2022 – 2025 წლები - მთისპირის თემის სოფლები და ჩხაკაურა - შევქმენით შშმ პირების ფულადი დახმარების ყოველთვიური პროგრამა

2023 – 2025 წლები - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფლები - დავაფინანსეთ შშმ პირების მშობლების მხარდაჭერისა და გაძლიერების პროგრამა

ორივე პროგრამით ისარგებლა 127-მა პირმა.

ინფრასტრუქტურული პროექტების პროგრამა

2022 წელი - კურორტი ბახმარო - ცენტრალური გზის ბოძები გავანათეთ ენერგო ეფექტური ლედ განათების ნათურებით. სარგებელი მიიღო ათეულობით ათასმა დამსვენებელმა.

2023 – 2024 წლები - მთისპირის თემი - სოფელ ვანისქედში მოვაწყვეთ წყლის სისტემის 47 ოჯახისთვის. პროგრამით სარგებელი მიიღო 47-მა ოჯახმა.

II გვერდზე

ბახვი ჰესის შესახებ

ბახვი ჰესი მართავს მდინარის მოდინებაზე მომუშავე მცირე და საშუალო ზომის ბახვი 1 და ბახვი 2 ჰიდროელექტროსადგურის პროექტებს, რომლებიც დაგეგმილია მდინარე ბახვისწყალზე.

განსახორციელებელი პროექტები მოქცეულია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე. მათი ჯამური დადგმული სიმძლავრეა 43 მეგავატი, წლიური დაგეგმილი გამომუშავება კი, 180.5 მილიონ კილოვატსაათია.

ბახვი ჰესის საგანმანათლებლო პროგრამა

#ერთადვაშნებთმომავალს

ხარისხიანი განათლების ხელშეწყობა ბახვი ჰესის სოციალური პროგრამის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა. ბახვი ჰესის საგანმანათლებლო პროექტები განხორციელდა ჩხაკაურას და მთისპირის საჯარო სკოლებში და საბავშვო ბაღში.

ხათუნა ნემსაძე, მთისპირის საბავშვო ბაღის პედაგოგი:



„2021 წელს მოვიდა ჩვენთან ბახვი ჰესი და იმ დღიდან უზრუნველყოფილია ჩვენი საბავშვო ბაღი ინტერნეტით. მოგეხსენებათ, რამდენად მნიშვნელოვანია ინტერნეტი საბავშვო ბაღის ყოველდღიურობაში. განვითარების პროცესში მნიშვნელოვანია ბავშვისთვის გარემოს მოწყობას, რათა ბავშვი ამ გარემოში გრძნობდეს თავს ბედნიერად“.

ალექსანდრა მარი, ჩხაკაურას სკოლის დირექტორი:

„ბახვი ჰესის შემოსვლა ჩვენს რეგიონში და კერძოდ, ჩხაკაურაში მნიშვნელოვანი იყო. ხალხმა გაიგო ბევრი რამ ჰესის მნიშვნელობაზე, ცნობიერება აუმაღლდათ გარემოსდაცვით საკითხებზე და განახლებად ენერგიებზე.

მოსწავლეებისთვის მნიშვნელოვანი იყო გაეგოთ, რომ არსებობს ისეთი ბიზნესი, რომელიც ავითარებს ჰიდროენერგეტიკულ ობიექტებს ისე, რომ ზიანი არ მიადგეს ბუნებას, გარემოს“.

მარიამ ბერიძე, ბახვი ჰესის სტიპენდიანტი, ბათუმის უნივერსიტეტის სტუდენტი, მომავალი ეკოლოგი:



„თავიდან სანამ ბახვი ჰესი გამოჩნდებოდა ძალიან მწირი ინფორმაცია მქონდა გარემოსდაცვაზე, განახლებად ენერგიებზე. პირველივე ტრენინგიდან, როცა ინფორმაცია მივიღე, მივხვდი, რომ ეს სფერო ძალიან მაინტერესებდა. ბახვი ჰესის დამსახურებით, მე მომავლის პროფესია შევიძინე და გარემოსდაცვა გახდა ჩემი ცხოვრების ნაწილი“.

თამთა დოლიძე, გურია TV-ს ჟურნალისტი:



„ამ კომპანიამ გურიაში მუშაობის მანძილზე, გარკვეული სპეციფიკური პროფესიული მიმართულებების პოპულარიზაციის მიზნით, ძალიან ბევრ ახალგაზრდას გაუწია ფინანსური დახმარება, მოტივაცია მისცა, წაახალისა. მაშინ როცა, საქართველოში ეს დარგები ძველი კლიშეების გამო ითვლება არაპერსპექტიულად. მგონია, რომ ეს არა მხოლოდ კომპანიისთვის, არამედ ზოგადად გარემოსთვისაა მნიშვნელოვანი. ვფიქრობ, რომ ბახვი ჰესმა დაგვიტოვა გარკვეული გზამკვლევი, რათა სამომავლოდ ვიცოდეთ, თუ როგორ უნდა იქცეოდეს ბიზნესი“.

ბახვი ჰესის სოციალური პროექტების მიმოხილვა

I გვერდიდან

2024 - 2025 წლები - სოფელი ჩხაკაურა და მთისპირის თემის სოფლები - განვახორციელეთ გზების რეაბილიტაცია. სარგებელი მიიღო 500-მდე ადამიანმა.

მცირე ბიზნესის დახმარების პროგრამა

2022 – 2024 წლები - ჩოხატაურის, ოზურგეთისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტები - ჩავერთეთ გურული ჩაის მხარდაჭერის პროგრამაში, გავაძლიერეთ ჩაის მწარმოებლები და სტუმარ-მასპინძლობის სექტორის წარმომადგენლები. პროგამით პირდაპირი სარგებელი მიიღო 28 პირმა.

გარემოსდაცვითი პროგრამა

2025 წელი - კურორტი ბახმარო - 20 ჰექტარ მიწის ფართობზე დავრგეთ 16 ათას 500 ნერგი. 9175 ცალი მაღალმთის ნეკერჩხალი და 7325 კავკასიური ფიჭვი.

ბახვი ჰესის სოციალური პროექტები

ბახვი ჰესის სოციალური პროექტები

ბახვი ჰესი

ჩვენ შევასრულეთ დანაპირები!

ინტერვიუ

ლაშა ვაშალომიძე

ლაშა ვაშალომიძე, მთისპირელი ჩემპიონი MMA-ში

- ლაშა, დიდ წარმატებას მიაღწიე MMA-ში. როგორ მოხვედი აქამდე, რა დაგეხმარა წარმატების მიღწევაში?

- MMA-ში საკმაოდ დიდ წარმატებას მივაღწიე, განსაკუთრებით გრეპლინგში, გავხდი საქართველოს ჩემპიონი. თავდაუზოგავი შრომის და საკუთარი თავის რწმენის დახმარებით მოვედი აქამდე. დიდი რესურსი ჩავდე საკუთარ თავში, საკმაოდ რთულია ოქტაგონზე ბრძოლა, მზად უნდა იყო ფიზიკურად და ფსიქოლოგიურად.

- მოგვიყევი სამომავლო გეგმების შესახებ. ხედავ UFC-ში საკუთარი თავს სამომავლოდ?

- UFC-მდე ძალიან დიდი გზაა გასავლელი, ვფიქრობ, ამ გზის მხოლოდ 1% გავიარე. მჯერა რომ ერთ დღეს შევაბიჯებ UFC-ოქტაგონზე. ვიცი ამის მისაღწევად ბევრი დიდი ბარიერის გადალახვა მომიწევს, თუმცა ეს ჩემი ცხოვრების მიზანია და აუცილებლად მივალ მაგ ეტაპამდე.

- კარგად იცნობ ჩვენს პროექტს. რამდენად მნიშვნელოვანია ეს პროექტი სოფელ მთისპირისთვის?

- ბახვი ჰესის მხარდაჭერა სოფლის ცხოვრებაში დიდ როლს თამაშობს, დიდია ახალგაზრდების განვითარებაში შეტანილი წვლილი. ბევრ სოფელსა თუ ქალაქს არ აქვს ასეთი ფუფუნება. ეს ყველაფერი მრავალი წლის მანძილზე გრძელდება. კომპანიის დახმარებით ბევრმა ახალგაზრდამ გაიკვლია გზა ცხოვრებაში. ჩემი წარმატების დიდი ნაწილი ბახვი ჰესის დამსახურებაა.

ფოტორუბრიკა

სამშენებლო პერიმეტრის სტუმრები ჩვენი თანამშრომლების ობიექტივში

ევრაზიული წავი (Lutra lutra) გავრცელებულია საქართველოს თითქმის მთელ ტერიტორიაზე.

წავი გვხვდება, როგორც მდინარეებში, ასევე მდინარეების მახლობლად არსებულ ტბებსა და სხვა წყალსატევებში. წავისთვის მთავარ საკვებად მიჩნეულია თევზი, თუმცა, მის საკვებ რაციონში, ასევე, შედის რეპტილიები, ამფიბიები, კიბორჩხალები, წვრილი ძუძუმწოვრები, ფრინველები, მოლუსკები, მწერები და ა.შ. (Grzimek 1990).

ევრაზიული წავი ტერიტორიული ცხოველია, რაც იმას გულისხმობს, რომ საცხოვრებლად ირჩევს ერთ კონკრეტულ ტერიტორიას და იცავს მას სხვა წავების ოჯახისგან. მისი არსებობა მიუთითებს სუფთა და ჯანსაღ გარემოზე.

წავის კვალი მდ. ბახვისწყლის ხეობაში

წავის კვალი, რომელიც ფოტოზეა წარმოდგენილი 2024 წელს გადაიღო ბიომრავალფეროვნების მოწვეულმა მკვლევარმა, ბახვი ჰესის საპროექტო ტერიტორიაზე გეგმიური კვლევის წარმოებისას, რაც ნიშნავს იმას, რომ ამ ტერიტორიაზე მისთვის ხელსაყრელი პირობებია მიუხედავად მიმდინარე მშენებლობის პროცესისა.